სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №260
(კლასიფიკატორის კოდი 55300000)

ქ. თბილისი 15.04. 2014 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან
არსებული სსიპ საერთო სასამართლოების
დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ს/ნ 203860642

მიმწოდებელი:
შპს "დანი 2012"
მის.: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. №2
ს/კ 404 419 704
ს.ს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22
ა/ა GE78BG 0000000 458896900

2. ხელშეკრულების ობიექტი და ფასები

2.1 ხელშეკრულების ობიექტია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობას შორის გაფორმებული №681, 09.12.2013 წ. საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად (ფინანსთა სამინისტროს რეგისტრაციის №624, 17.12.2013წ) ჩარიცხული გრანტით (აღნიშნული გრანტის ფარგლებში სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის (ს/ნ 203860642) მიერ შესასყიდი საქონელი ან/და მომსახურება არ ექვემდებარება დღგ-ს დარიცხვას (იხ. საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიანი ელექტრონული რეესტრი)) **მოწვეული სტუმრებისათვის რესტორნის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა,** („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა: **15 კაცზე რესტორნის მომსახურება (იხ. დანართი).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1346.85 (ათას სამას ორმოცდაექვსი ლარი და 85 თეთრი) ლარს,** მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი 2014 წლის 16 აპრილს 19:00სთ .

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: რესტორანი "ქართული სახლი", მის. ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. №2.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და შესყიდვის ობიექტის მიღება -ჩაბარების წესი.

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი - ნიკოლოზ ქართველიშვილი და დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი - გოჩა მელიქიძე.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი - ნიკოლოზ ქართველიშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

7.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7.5 დაფინანსების წყარო: **საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობას შორის გაფორმებული №681 09.12.2013 საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად (ფინანსთა სამინისტროს რეგისტრაციის №624, 17.12.2013) ჩარიცხული გრანტი.**

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 23 მაისის ჩათვლით.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

9.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

10.3 თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

10.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით,

ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს, რომლის გადახდა მოხდება დამრღვევი მხარის მიერ ამ თანხის გადახდის შესახებ მეორე მხარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

10.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.8 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია

12.3 წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 მუხლში აღნიშნული პირი.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული შესყიდვის ობიექტისა და წუნდების მიზეზების შესახებ.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. გადასახადები და ბაჟები

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის გადახდაზე, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი – შემსყიდველთან) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. ინტერესთა კონფლიქტი

17.1 წინამდებარე ხელეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს, რომ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით მისი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ იმყოფება.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თავმჯდომარე	დირექტორი
დიმიტრი გეგელია	ბერუჩა ლუხუტაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

1.1 ჩვენ, ქვემო ხელმომწერნი, ვადასტურებთ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მოწვეული სტუმრებისათვის რესტორნის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

(სახელი, გვარი) *(ხელმოწერა)*

ნიკოლოზ ქართველიშვილი _____

ნაილი კბილაძე _____

გოჩა მელიქიძე _____

ხაბიდო ბეგი

რესტორანი ქართული ხაბაფი
ქ. თბილისი, ფაღავის ქ.
ტელ.: +995 32 2000000
ელფოსტა: retaurant@georgianhouse.ge
==========
VIP დაბალანსი
27620 მაგიდა #1
თარიღი: 16/04/2014
გაიხსნა: 19:10
ბოლო შეკვეთა: 19:10
დახურულია: 22:58
მიმტანი:მარუშაშვილი გიგა

ბუფეტი
1. ბერი ბოთლ 2x1.20=2.40
ბიჯანგები
2. ხაჭვარული ბიჯ. 1 ც 6x22.00=132.00
ფუფაკის ბარათი
3. კიბეული ბწვანე ქინი ფუფაკის 1ც 4x28.00=112.00
გამაგრილებელი სასმელები
4. ლიმონათი "ხატისტარი" 2x2.20=4.40
ყავა ჩაი
5. ყავა ესპრესო 1x4.00=4.00
6. ყავა კაპუჩინი 1x4.00=4.00
7. ყავა ამერიკანო 4x4.00=16.00
8. ყავა ნესკაფეი 3x2.50=7.50
9. ჩაი ბწვანე ხეინა 2x2.50=5.00
10. ჩაი შავი ასორტი 3x2.50=7.50

ჯამი:294.80 ლარი.
+10.00%:29.48 ლარი.
სულ:324.28 ლარი.

ნაღთ
გადასახდელია:324.28 ლარი.
1589,28 – 18% = 1346,85
ველოდ გელოდებით!

ხაბიდო ბეგი

რესტორანი ქართული ხაბაფი
ქ. თბილისი, ფაღავის ქ.
ტელ.: +995 32 2000000
ელფოსტა: retaurant@georgianhouse.ge
==========
VIP
27597 მაგიდა #1
თარიღი: 16/04/2014
გაიხსნა: 14:23
ბოლო შეკვეთა: 14:23
დახურულია: 22:58
მიმტანი:მარუშაშვილი გიგა

ბუფეტი
1. ბერი ბოთლ 20x1.20=24.00
2. მწაკი 8x1.50=12.00
3. ხაჭაპური ამერული 4x10.00=40.00
გამაგრილებელი სასმელები
4. ნაბეღლავი 500მლ 7x2.20=15.40
5. წყლის წყალი სნო 750მლ 7x1.80=12.60
6. ლიმონათი "ხატისტარი" 15x2.20=33.00
სალათები
7. ვიტრი პომიდორის სალათი გეფსურით 4x7.00=28.00
8. ბრაბის სალათი 4x7.00=28.00
ბისტეკების და რძის ნაწარმის ცივი საუზმე
9. ბეღის ხიდი შავი 4x4.50=18.00
10. ფხალის ასორტი 4x12.00=48.00
11. მეკვის ასორტი 4x7.00=28.00
12. ყვეღის ასორტი "ქართული" 4x18.50=74.00
ფუნის ცივი საუზმე
13. ორაგული ბაკეში 4x20.00=80.00
ხორცის ცივი საუზმე
14. ქათმის ჩიღები 4x7.00=28.00
15. გოჯი ფინეში შემწვარი 4x33.00=132.00
ბისტეკების და რძის ნაწარმის ცხელი კერძები
16. ქათმა სოკო კეცზე 4x10.00=40.00
17. კარტოფილი ფრი 4x5.00=20.00
ფუნის ცხელი კერძები
18. კალმასი შემწვარი 8x8.00=64.00
ხორცის ცხელი კერძები
19. წინიდა ტყემალში 4x20.00=80.00
20. ხბოს ჩაშუშული 4x14.00=56.00
მწვადი
21. ხბოს ნეკნები აკიკით კეცზე 4x16.00=64.00
22. ღორის მწვადი 8x13.00=104.00
სოუსი
23. ტყემალი 4x2.00=8.00
დესერტი
24. ხიდის ასორტი "ხეზოსური" 4x17.00=68.00
საკონდიტერო ნაწარმი ბანკეტებისთვის
25. ბიზკვეიკი შატარა 3x3.00=9.00
26. ხიდის ტორტი შატარა 3x3.00=9.00
27. ირისი შატარა 3x3.00=9.00
28. შავი ტყე შატარა 3x3.00=9.00
29. სამეფო შატარა 3x3.00=9.00

ჯამი:1150.00 ლარი.
+10.00%:115.00 ლარი.
სულ:1265.00 ლარი.

გადასახდელია;1265.00 ლარი.

ველოდ გელოდებით!
1346,85